

სს „საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიების“

ს/კ 405177687

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი:

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება-----	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-----	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31/12/2021		12/31/2020		12/31/2019
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	10,048		14,602		15,595
არამატერიალური აქტივები	625		720		814
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0		0		351,440
	10,673		15,322		367,849
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6,256,009		3,952,219		3,129,849
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,317,467		3,458,248		3,719,395
მარაგები	2,989,563		2,369,836		4,123,463
	13,563,039		9,780,303		10,972,707
მთლიანი აქტივები	13,573,712		9,795,625		11,340,556
მთლიანი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი					-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7,361,871		6,259,901		4,019,184
გადაფასების რეზერვი	0		-		-
	7,361,871		6,259,901		4,019,184
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	0		-		-
			0		0
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები	0		1,046,058		4,642,653
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,202,207		2,488,191		2,678,719
საგადასახადო ვალდებულებები	9,634		1,475		-
	6,211,841		3,535,724		7,321,372
მთლიანი ვალდებულებები	6,211,841		3,535,724		7,321,372
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	13,573,712		9,795,625		11,340,556

დირექტორი:



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	12/31/2021		12/31/2020		12/31/2019
ამონაგები	79,757,856		53,222,372		60,710,149
თვითღირებულება	(58,689,828)		(40,986,810)		(48,959,284)
საერთო მოგება	21,068,028		12,235,562		11,750,865
სხვა შემოსავლები	39,499		-		14,388
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(550,280)		(535,769)		(565,432)
მიწოდების დანახარჯები	(1,535,379)		(1,032,815)		(1,343,171)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	(661,791)		(439,871)		(363,591)
სხვა ხარჯები	(146,193)		(821,709)		(185,454)
საოპერაციო მოგება	18,213,884		9,405,398		9,307,605
ფინანსური შემოსავალი					-
ფინანსური ხარჯი	(21,129)		(218,085)		(312,307)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(21,129)		(218,085)		(312,307)
მოგება დაბეგვრამდე	18,192,755		9,187,313		8,995,298
მოგების გადასახადი	-		-		-
პერიოდის მოგება	18,192,755		9,187,313		8,995,298
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	18,192,755		9,187,313		8,995,298

დირექტორი:



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,004,626	1,004,626
მოგება წლის ბოლოს			8,995,298	8,995,298
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	8,995,298	8,995,298
გაცემული დივიდენდი			(5,980,740)	(5,980,740)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,019,184	4,019,184
მოგება წლის ბოლოს			9,187,313	9,187,313
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	9,187,313	9,187,313
გაცემული დივიდენდი			(6,946,596)	(6,946,596)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	6,259,901	6,259,901
მოგება წლის ბოლოს			18,192,755	18,192,754
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	18,192,755	18,192,754
გაცემული დივიდენდი			(17,090,785)	(17,090,785)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	7,361,871	7,361,870

დირექტორი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
- კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	81,527,829	51,838,458	60,296,269
- მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ ფულადი სახსრები	(59,756,982)	(39,530,871)	(52,179,803)
- ხელფასი და ფ/პ მომსახურება	(317,951)	(340,063)	(325,859)
- სხვა ხარჯები	(80,589)	(42,576)	(26,119)
- სხვა შემოსავლები	-	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	21,372,307	11,924,948	7,764,488
გადახდილი პროცენტი	(21,130)	(218,085)	(312,307)
საბიუჯეტო გადასახდელები	(945,169)	(455,072)	(402,569)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	20,406,008	11,251,791	7,049,612
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(3,319)	(7,538)
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	-
- მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
- მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-	-
- მიღებული დივიდენდი	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(3,319)	(7,538)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- გაცემული დივიდენდი	(16,236,246)	(6,599,266)	(5,681,703)
- გაცემული სესხი	-	-	-
- მიღებული ფულადი სახსრები გაცემულის სესხის დასაფარად	-	-	-
- კაპიტალის ცვლილება	-	-	-
- სესხის აღება	1,063,988	3,379,280	7,074,834
- გასავალი აღებული სესხის დასაფარად	(2,135,859)	(7,801,517)	(8,280,088)
- მიღებული პროცენტი	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(17,308,117)	(11,021,503)	(6,886,957)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	3,097,891	226,969	155,117
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	3,952,219	3,129,849	3,004,628
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(794,101)	595,401	(29,896)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	6,256,009	3,952,219	3,129,849

დირექტორი:



სს „საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს საერთაშორისო სამედიცინო ტექნოლოგიები არის 24/11/2016 წელს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 15/04/2019-ში რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. კომპანიის მისამართი არის თბილისი, ჭ.ამირეჯიბის გზატ., №1, ბლოკი ა, ბ. 3. მისი ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო სახარჯი მასალით ვაჭრობა. 24/11/2016 წელს კომპანიას მიენიჭა სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. კომპანიის მმართველებსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა და გაზარდონ კომპანიის მოგება, შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

3. წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი, საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

და

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.2 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთად განისაზღვრება

ნულოვანი განაკვეთი, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების გადასახადის განაწილება

და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა

და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს

გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

სპეციალური სავაჭრო კომპანიები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათით და არ იხდიან მოგების გადასახადს მოგების განაწილების შემთხვევაში. შესაბამისად კომპანია მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ მოგებით დასაბეგრი სხვა ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივის სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობება-ნაგებობები: 30 წელი

მანქანა-დანადგარები: 7-10 წელი

მოწყობილობები და აპარატურა: 7-10 წელი

საოფისე აღჭურვილობა: 3-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები: 7-15 წელი.

სხვა: 3-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.4 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.5 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი,

შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4.6 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის აკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო/ჩვეულებრივ იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღირდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მნიშვნელოვანი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული შენახვის და მოვლა/პატრონობის ხარჯები აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს.

4.8 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

დებიტორების გადახდის ქცევაზე დაკვირვებით საწარმომ ვადაგადაცილებული დღეების კატეგორიების მიხედვით აფასებს რისკებს და შესაბამისად ქმნის დებიტორული დავალიანების ანარცხებს. ამასთან საწარმო ისეთ დებიტორულ დავალიანებას, რომლის ნაშთი მთლიანი დებიტორული ნაშთის 2%-ს აღემატება, გაუფასურებაზე აფასებს ინდივიდუალურად.

კატეგორიები და რისკის პროცენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

კატეგორია	რისკის (ანარიცხის) %
0-90	0%
91-180	20%
181-365	50%
მეტა 365	100%

4.10 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

4.13 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

4.14 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

5. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა
31 დეკემბერი 2018	11,227
შემოსვლა (2019წ)	7,538
გადაფასება (2019წ)	-
გასვლა (2019წ)	-
პერიოდის ცვეთა (2019წ)	(3,170)
გაუფასურება (2019წ)	-
გასვლა (2019წ)	-
31 დეკემბერი 2019	15,595
შემოსვლა (2020წ)	3,319
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვეთა (2020წ)	(4,312)
გაუფასურება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	14,602
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვეთა (2021წ)	(4,554)
გაუფასურება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2020	10,048
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017	3,333
31 დეკემბერი 2018	11,227
31 დეკემბერი 2019	15,595
31 დეკემბერი 2020	14,602
31 დეკემბერი 2021	10,048

6. არამატერიალური აქტივები

	ბუღალტრული პროგრამა
31 დეკემბერი 2018	909
შემოსვლა (2019წ)	-
გადაფასება (2019წ)	-
გასვლა (2019წ)	-
პერიოდის ცვლათა (2019წ)	(95)
გაუფასურება (2019წ)	0
გასვლა (2019წ)	-
31 დეკემბერი 2019	814
შემოსვლა (2020წ)	-
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვლათა (2020წ)	(94)
გაუფასურება (2020წ)	0
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	720
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვლათა (2021წ)	(95)
გაუფასურება (2021წ)	0
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2020	625
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	909
31 დეკემბერი 2019	814
31 დეკემბერი 2020	720
31 დეკემბერი 2021	625

7. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2021
ნაღდი ფული სალაროში	-
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	6,256,009
სულ	6,256,009

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,339,456
გადახდილი ავანსები	2,977,651
ზედმეტობა საბიუჯეტო გადასახადებში	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	360
სულ	4,317,467

კომპანიას შექმნილი ჰქონდა 242 501 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანების ანარიცხი, რასაც დაემატა მიმდინარე პერიოდში 132 441 ლარი. 2021 წელს დებიტორული დავალიანების ანარიცხი შეადგენს 374 942 ლარს, რითიც შემცირებულია ნეტო სავაჭრო მოთხოვნები

9. დებიტორული დავალიანების ანარიცხი

რისკის (ანარიცხის) %	ანარიცხის ოდენობა
0%	0.00
20%	1187.00
50%	7296.00
100%	366459.00
სულ	374,942

კომპანიამ დებიტორული დავალიანების ანარიცხი შექმნა დავალიანების ხანდაზმულობის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი დებიტორების გადახედვა მოხდა ინდივიდუალურად.

10. მარაგები

	2021
გადასაყიდად შეძენილი სამედიცინო სახარჯი/მასალა	2,989,563
სულ	2,989,563

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარს, რადგან კომპანია არ ახორციელებს პროდუქციის მარაგად დასაწყობებას. პროდუქციის შეძენა ხდება მხოლოდ მომხმარებელთა შეკვეთის შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021
სავაჭრო ვალდებულებები	3,138,059
მიღებული ავანსები	3,064,148
სულ	6,202,207

12. ამონაგები

	2021
საქონლის გაყიდვა	79,757,856
სულ	79,757,856

13. სხვა შემოსავალი

	2021
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	39,499
სულ	39,499

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(661,791)
სულ	(661,791)

15. სხვა ხარჯები

	2021
უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება	-
მოგების გადასახადი - სხვა	-
სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხების და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი/ანარიცხი/ჩამოწერა	(146,193)
საბაჟო ჯარიმა	-
სულ	(146,193)

კომპანია ვაჭრობს სამედიცინო სახარჯი მასალით, ამდენად მყიდველისათვის მნიშვნელოვანია პროდუქციის გამოყენების ვადა, როდესაც მიწოდებული პროდუქციის ვადა არ არის დამკვეთისათვის მისაღები, იმისათვის რომ არ დაკარგოს მომხმარებელი კომპანიას უწევს აღნიშნული პროდუქციის უსასყიდლოდ მიწოდება.

16. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(21,129)
სულ ფინანსური დანახარჯები	(21,129)
ფინანსური შემოსავალი	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-
სულ ფინანსური შემოსავალი	-
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(21,129)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგები პერიოდის შემდეგ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2022 წლის 18 აგვისტოს.

დირექტორი:

